



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



28-07-4-201805311605

31/05/2018



N 28

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №28
2018 წლის 31 მაისი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში (ვებგვერდი 02/10/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016312) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოს შემადგენლობას საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.“

ბ) დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბჭოზე გასატან საკითხებს ამზადებს და დღის წესრიგის პროექტს ადგენს საბჭოს მდივანი, რომელიც თანამდებობრივად არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

მერიის მიერ განსაზღვრული მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.“

გ) დადგენილების მე-2 მუხლის დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული გამგეობის გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო